თეატრი

საეროველ-კერძო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

29 სექტემბერი. გამოცემა № 6 კვირაობით 1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი. ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიამოის თვეშიაც ერთი (1) მანეთი.
ცალკე ნომერი „თეატრი“სა ღირს სამი (3) შაური. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრიქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლიშვილთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Театръ“.
კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის“-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

„თეატრისა“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე **2** მანეთი.

***

ხედავ ყმაწვილს პაწაწინას,
ჩვენი მეზობლის შვილს ნინოს,
ლოყა წითელს და შავ თვალას,
შეერთებულ რძეს და ღვინოს.

ჯერ მის გონს ვერ შეხებია
ჭეეუნიური ცოდვის ბრჭყალი
და მაში ვერ აღუბეჭდავს
ბოროტებას თვისი კვალი.

ბულში უზის ანგელოზი,
ოცნებითაც ჰფრინავს ცაზე
და დროებით დაუკარგავს
მას ადგილი ქვეყანაზე.

ეტრფი ამ გვრიტს, მაკრამ ამ დროს
ის ფიქრი მკლავს და მით ეჭვენესი,
რომ ამასაც არ ასცდება
ბოლოს საზოგადო წესი.

გაიზრდება,-ზოგს დასტანჯავს,
ზოგს დანდობით შეიყვარებს
და ზოგს უნდოდ ეშხის იპარს
სტყორცნის, მიწას მიაბარებს.

და შემცდარი, აიხდის რა
ბალწულობის სპეტაკ სამოსს,
ეღარ იგრძნობს წინანდელად
ტკბილ სიზმრებს და ფიქრს საამოს.

ამ ფიქრებით ნალელიანად
ვეთხოვები ლამაზ ნინოს,
ლოყა წითელს და შავ-თვალას,
შეზავებულ რძეს და ღვინოს.

ცახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

(„ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ზ. მთაწმინდელისა. თბილ. 1885 წ.)

წერილი პირველი.

ბიოგრაფიულ მწერლობამ ჩვენში ამ ბოლო დროს ფესვი აიდგა. ეს კარგი ნიშანია. შესანიშნავის მწერლის ბიოგრაფიას თავისი საკუთარი კერძო ლიტერატურული მნიშვნელობაც აქვს. ხშირად მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის შეგნება საჭიროებს ავტორის ცხოვრების ტოდნას და როცა ეს ტოდნა არა აქვთ, ბევრი რამე გაუგებარი რჩება. ეს უნდა ითქვას მეტადრე იმ გვარ მწერალზე (მაგ. პოეტი, ბელეტრისტი), რომელიც არ სჯერდება ობიექტიურს სიმართლეს, ცხოვრების სინამდვილეს და ნაწარმოებში შეაქვს საკუთარი სულის და გულის წადილი, თავისი სულიერი არსების მისწრაფებანი, იდეალები. თუ როგორ და საიდან დაიბადენ ეს წადილი, მისწრაფებანი, იდეალები—ამას გვიჩვენებს თვით მწერლის ცხოვრება. ამ ცხოვრების ტოდნა უნდა იყოს (და არის კიდეც) საუკეთესო საშალმძღვანელო ნაწარმოების სუბექტიური მიმართულების შეგნებისა. მაგრამ პოეტის ან ბელეტრისტის ბიოგრაფიის დაწერასაც ხერხი უნდა. საკმაო რიდია ბიოგრაფმა გაჭრელოს ცარიელი ფაქტები მწერლის ცხოვრებიდამ. არა,—ფაქტებთან ერთად საჭიროა შესწავლა იმ დროისა, როცა სცხოვრებდა მწერალი. დრო და ყმი ყველა მწერალს თავის საკუთარს ფერს სდებს, და მწერალიც ნება-უნებურად ემორჩილება დროთა და ყმთა ვითარებას. ამისათვის შესანიშნავი მწერლის ბიოგრაფი უნდა იყოს მცოდნე ისტორიკოსი იმ დროისა, როცა სცხოვრებდა და მოღვაწეობდა მისგან აღნიშნული მწერალი და თუ ბიოგრაფს აკლია მწერლის დროის ტოდნა, მაშინ იმისი ბიოგრაფიული შრომა უსულო და უსარგო ხორხი დარჩება.

კერძოდ ნ. ბარათაშვილზედ რომ ითქვას, იმის დროის საფუძვლიანად შესწავლა და მხოლოდ ამნაირ შესწავლის შემდეგ შეუსაზვა მისი ბიოგრაფიისა უფრო საჭიროა, ვიდრე სხვა რომელიმე პოეტისა. და ეს იმიტომ, რომ არც ერთი ჩვენი შესანიშნავი პოეტი არ არის ისეთი ღრმა გამამსტეველი, თავისი სუბექტიური ნაღვლისა, დარდისა, როგორც ნ. ბარათაშვილი. ჯაქიმიდე ბუნდით არის მოცული გარემოება, რომელშიც წარმოშობა პოეტის «სულის ობლობა», «განწირულის სულის კვეთება» და ოთველიეე გულის თქმანი მისნი. რა იყო მიზეზი, როგორი პირობანი ხელს უწყობდნენ პოეტს მის თავისებურს სიმების ყლურაში—ამას აგვიხსნის თანამედროვე ცხოვრების ტოდნა. ამას, რასაკვირველია, ზედ უნდა დაერთოს ეგრეთვე ოთველ მსრეკი შესწავლა პოეტის კერძო შინაური ცხოვრებისა, რადგანაც ამ უკანასკნელსაც ოვალ საჩინო გავლენა აქვს ქნარის მიმართულებაზედ.

სამწუხაროდ, არც ერთი ამ პირობათაგანი არ შეასრულებია ჩვენის პოეტის ბიოგრაფს. ბატ. ზ. მთაწმინდელმა ვითომ იცის კიდეც რაგორც უნდა დაიწეროს ბიოგრაფია (გვერდი 32, სადაც ამბობს, რომ საჭიროა თანამედროვე ცხოვრების ტოდნა და პოეტის შეხედულება იმაზეო), მაგრამ ისეთი უთავბოლო ტოდნა, რომლითაც იგი არის შემკული, საქმეს ვერ უშველის, საგანს ვერ „განმარტებს“, თუმცა ავტორი ისე აზრს არ წარმოსთქვამს, რომ არა „განმარტოს“ რა... (ეს განმარტება მეტად შეჭეკვრებია მთაწმინდელ ბიოგრაფს!). როგორ «განმარტებს» ბიოგრაფი ნ. ბარათაშვილის დროს?—ამის სიტყვებით, იმ დროს „ოთველის გუნჭულიდამ მხოლოდ დალიესი და კაეინის სმა გამოისმოდა“, „ეომარბაზობაც შორს იყო წასული, სლუსტი, ბითური, ცარა, ეომარი და სხვანი“, „მარტო მუსაბზები (თუ მუსამბაზი?) აგონდებოდათ, ეთავები, გაუეები და სხვა ათასი კიდევ ამისთანანი», „ერთი უბრალო ანბანი, ერთი უბრალო სასალსო საკითხავი წიგნაც არ მოიპოვებოდა მთელს საქართველოში“ (ოჰ, ოჰ, საწყლები!..), „იმ დროის მელექსენი და მწერლები მხოლოდ ამიეი ბულბულებისა და ვარდებისთვის დნებოდენ“, „დაბალ სალხში (მაშ მაღალში?) ბატონ-ყმობა არსებობდა“, „სალხს მონება სჩაგრამდა“... „ეი ამისთანა საზოგადოებაში იმეოფებოდა და ტრიალებდა „სული ობოლის“ და „ბედი ქართველის“ დამწერი“ (გვ. 10-11). შემდეგ ამნაირის მართლაც და «განმარტებითი განმარტებისა» მკითხველი, რასაკვირველია, გაშტერებული რჩება და პირ-ღია შესტქერის ზ. მთაწმინდელს, რომ მან «სხვა ათასი კიდევ ამისთანანი» განმარტოს, მაგრამ «ათასს ვინღა დაგიდევს როცა თავისავე «განმარტებას» უარ ჰყოფს სხვა ადგილს წარჩინებული განმარტებელი:» «ჭეშმარიტად, მეც ასევე მსურდა, რომ ჩემის შემძღებისადაგვარად განმემარტა ბარათაშვილის თანამედროვე სალხის ცხოვრებაზე, მაგრამ... ჩემი უმთავრესი ეურადღება მხოლოდ პოეტის განსაკუთრებითი ცხობებზე იქმნა მიპყრობილი და არა მის დროის სალხის ცხოვრებათა შესახებ» (გვ. 32). გატაცებული ამ «განსაკუთრებითი ცხობებით», შემდეგ საკუთარის განმარტებისა, ზ. მთაწმინდელი განცვიფრებით ეკითხება თავის თავს: «საკვირველია, ჭეშმარიტად, ის, თუ რაგორ გამოიწურთვნა ბარათაშვილმა ის ნიჭი და მიმართულება, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლითაც ოთველი მისი ლექსის სტრიქონი გამსჭვალულია». და ამ კითხვის პასუხად ორ მიზეზს ასახელებს (თუმცა პირ-და-პირ კი არა): 1) «ბარათაშვილს დაახლოებული მეგობრობა ჰქონია იმ დროის საქართველოში მყოფ პოლშელ პროფესორებთან», 2) «ბარათაშვილს ბელინსკის სტატიებიც შესვლებოდა წასაკითხავთ» (გვ. 18—19). განმარტებაც ამას ჩქვიან!...

ძვითხველი თითონაც ჩქადავს, რომ მთარგმნელმა გერმანული «განმარტა»—ვერც თანამედროვე ცხოვრება და ვერც ბარათაშვილის „ნიჭი და მიმართულება, რომლითაც ოთველი მისი ლექსის სტრიქონი გამსჭვალულია», ვერ „განმარტა“ იმიტომ, რომ მას არც თანამედროვე ცხოვრება შეუსწავლია და არც ბარათაშვილის მიმართულება. და ოუნდაც რომ შეესწავლა ერთიც და მეორეც, მაინც იგი ვერაფერს განმარტებდა, რადგანაც ეს იმის ხელობა არ არის და არც ამის ძალა-ღონე აქვს. ის კი რომ ავიღოთ, რასაც შეძლებისადაგვარად „განმარტებს“ მთარგმნელი, მაშინ დასკვნა ბარათაშვილის პოეზიის შესახებ სხვა იქნება. თუ მართლა პოეტი მოძრაობდა ისეთს წრეში და საზოგადოებაში, სადაც, ცხოველური ინსტინკტების დაკმაყოფილების გარდა, სხვა არაფერზედ ჩფიქრობდნენ, მაშ მისი პოეზია მოკლებული უნდა იყოს ოთველს კეთილ-შობილურს იდეალს და მთლად აღსავსე ეპიკურულის მიმართულებით. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. არა, ბარათაშვილის პოეზია სხვა ზნეობრივს ნიადაგზე უნდა აღმოცენილიყო, თვით მისი „განწირულის სულის კვეთებაც“ გამოწვეული უნდა ყოფილიყო სხვა პირობათა გავლენით, ზედ-მოქმედებით... ეპიკურულს ცხოვრებაში ტრიალმა დაჭბადა ალ. ჭავჭავაძე, ამ ცხოვრების გავლენამ მის ნიჭს თავისი დიდი დაჰსვა. ნ. ბარათაშვილის ცხოვრებაც და საზოგადოებაც სხვა უნდა ყოფილიყო და ამას გავიგებთ მაშინ, როცა მტოდხე პირი დაგვიწერს მის ბიოგრაფიას. რაიცა შეეხება პოლშელ პროფესორებთან მეგობრობას, ამაზე მხოლოდ ის ითქმის, რომ მთარგმნელი ვერაფერით ამტკიცებს ამ თვალს,—მას ეს ადგილი შეუტყვია, ამბავისთვის სადღაც ეური მოუგრავს... ვინ იცის ეს პროფესორები და რანაირი გავლენა იქონიეს ჩვენს პოეტზედ—ამას სხვა დამტკიცება უნდა და ცალიერი „მე შეგვიტყე“ ხომ დამტკიცება არ არის. ვინ იცის რას არა ტყობილობს ბატ. მთარგმნელი და უველა ხომ მართალი არ არის, როგორც, მაგ. შეიძლება მართალი არ იყოს ისიც, ვითომ ბელინსკის სტატიები უკითხავს ჩვენს პოეტს...

რადგანაც ზ. მთარგმნელის „უმთავრესი ყურადღება მიეურობილ იქმნა განსაკუთრებითი ცხობებზე“, მკითხველი, უეჭველია, აქ მაინც მოელის მისგან რაიმე უეჭვო ცნობას, მაგრამ ცნობის მაგიერ ცარიელი ლაზღანდარობა და ქუჩებში გაგონილი ამბები რჩება სულში. ბიოგრაფი თავ-პირს იმტვრევს „განმარტებაში“ — როდის დაიბადა ნ. ბარათაშვილი; „განმარტებს“ კიდეც —„ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1816 წელს“ (გვ. 1.), მაგრამ თავის „განმარტებაში“ თითონვე აღიარებს: „დღესაც სასწორით არ ვიცით ბარათაშვილის შესახებ თუ როდის დაიბადა“ (გვ. 28). ასეც და ისეც, როგორც გნებავთ! ესეც „განსაკუთრებითი ცნობა!...

მაგრამ უფრო ახირებული „განსაკუთრებითი ცნობები“ მოჰყავს ზ. ბიოგრაფს პოეტის უმაწვილობაზე. პოეტი პირველად კლოუბნიანთ სკოლაში მიუცია, სადაც“ მასწავლებელნი თავის დღეში არც პურსა და არც წყალს არ უადულობდნენ“. რატომ?—გამომცხვარი პური შაგირდებს მიჰქონდათ და წყალსაც ისინი უზიდავდნენ მასწავლებლებს. (გვ. 5). არ ეყოფოდათ თუ!? სხვა რამე რა საჭირო იყო?! „პატარობის დროს ნ. ბარათაშვილი მეტის მეტი ანცი ყოფილა; ზოგს თავს გაუტეხდა, ზოგს პირსა, ზოგს ცხვირ პირიდან სისხლსაც ადენდა, ზოგთ გლესებს ავოშკებსაც (?) დუმტვრევდა; მეტის-მეტი ჩქარი ყოფილა, ამმანაგებში კი ჭინჭულიანი (ჭინჭულიანი იმიტომ, რომ „ერთობ ფაქიზათ უყლიდნენ“! მეტის მეტი კარგად სწავლობდა, თუმცა ტოტა ქარიანი იყო; მეტის მეტი მოტანცავე იყო, მოთამაშე, მარდი, ცქვიტი; ამგვარის ლამარდის მეოხებით კიბიდგან გადმოვარდა და ორთავე ფესები დაიმტვრია (მაშ მარდები სულ ფესებს უნდა იმტვრევდნენ!...), სკოლაში ქართული წერა-კითხვა ჩყვარებია, დიდი ნიჭიერი ყოფილა (გვ. 6—7) ეს გახლავთ „განსაკუთრებითი ცნობები“ პოეტის სიყმაწვილეზედ!... რუსული სიტყვისა არ იყოს, თითონ ეშმაკიც კი ფესს მოიტეხს ამნაირის ცნობებით!... „განსაკუთრებითი ცნობების“ ავტორი არა სჯერდება ყველა ამას და დაწერილებით „განმარტებს“ პოეტის ტანისცმელს: „ბარათაშვილს (შაგირდობის დროს) ქართული ტანსაცმელი სცმია, თეთრი მაუდის ჩერქესკა, თავზედ ბატარა ლურჯი ქუდი, ბატარა სანაჯლი, ვერცხლის ქამარი ბეზმენტიანი“ (იქვე). რასაკვირველია, სწავლის შესრულების შემდეგ პოეტი ფერს იცვლიდა და იცვლა კიდეც: „ევროპიული ტანთ-საცმელი ჩაუცვამს, ჩალის ქუთი დაუსურნია, ასე ჩაცმულ-დახურული ერთისელ კერესელიმესაც უნახავს ანჩიხატის ეზოში“ (გვ. 9). ტანთ-საცმელის გამოცვლას ვინღა დაგიდევს, სასიამოვნოც კი შესცვლია პოეტს: „მეგობრობაში ჩინებული ხუმარა იყო, უყვარდა ოხუნჯობა, სეირნობა, ჭორაობა, ტუდლუტობა, ცელქობა, ქალების ყოლა (გვ. 10, 12); ცხარე შესედულობაც კი ჩქონია: მოსამსახურეებს თავს არ უყვარებდა, ხშირად პირსაც თითონ იბანდა და ჩექმებსაც თითონ სწმენდდა“ (გვ. 9). ამას ჩვენ ერთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარს „განსაკუთრებითი ტონობას“ დაუმატებთ: ბურსაც თავის სელით სჭამდა და წყალსაც თავის ბირით სვამდა!) მაგრამ კინაღამ არ დავიღუპეთ და ერთი ძვირფასი „განსაკუთრებითი ტონობა“ დაგვიწყდა,—“ ქეიფის დროს უველა ტატოს ეძახდა!“ (გვ. 10).

ბიოგრაფი არ ივიწყებს ბოტის სახიერებასაც: „ბარათაშვილი მოთეთრო სახის კაცი ეოფილა, სახით გრძელი, შორიდამ მარილიანი შესახედი, ახლოდან კი დაჭყანული, შავი თვალებით, წაბლის ფერის თმით, ტანით შუთანა, საშუალოს სისქისა“ (გვ. 30). მაგრამ გმირა. ჩვენ არ გვინდა უველა „განსაკუთრებითი ტონობა“ ცალკე მოგისსენიოთ და ან რა საჭიროა! მკითხველი თითონაც ჭსედავს—რა ღირსებისა მთაწმინდელის შრომა, ჭსედავს-რა ჭკუის და ცოდნის კაცთან გვაქვს საქმე... საკმაოსარო ის არის უფრო, რომ ამ ჭკუის და ცოდნის კაცი თავის ქერქში არ დგება და მედიდურად, განრისებით სჯის ჩვენს ლიტერატურულ ბიბლიოთეკაში წარსულ ისტორიულ ცხოვრებაზე; იღანძღება, უღირსად ისსენიებს... კის?—ირაკლი მეორეს!... ვინ? —ზ. მთაწმინდელი!... რისთვის?—მისთვის, რომ ვითომ ბზარს ავსტილდით, პისარევი ალარ გვიუკრს, ნ. ნიკოლაძეს და ანტ. ფურძელაძეს ღირსეულად არ ვაფასებთ, ძველს ქართულ წიგნებს ვბეჭდავთ, ვკითხულობთ:“ დრო იყო, როცა ძველ წიგნებს მნიშვნელობა ჭქონდა, დღეს ის ჩვენთვის გროშათ არა ღირს“ (გვ. 26)—ასე გაიძახის ახალი აზრის წინა-მორბედი. ამაზე შემდეგისათვის, თუ კი მკითხველი არ გაგვიწყრება, რომ ამოდენა დროს კანდომებთ ზ. მთაწმინდელის ჭკუა-ცოდნის ნაწარმოებს...

ნ. ურბნელი.

ს. თიანეთი,
20 ენკენისთვეს.

„თეატრის“ კორესპონდენცია

ქუთაისი, სექტემბრის 16-ს.

ეტად სასიამოვნო და საყურადღებო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ქართული დრამატიულის დასის დაარსება ქუთაისში. თეატრის მნიშვნელობაზე მეტი იქნება ლაპარაკი ჩემის მხრით; თეატრზე რაც თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ისიც საკმარისია. ამას კი მოგახსენებთ: თეატრი ჩვენს ქვეყნის სხვადა-სხვა ალაგებში ისე მკვიდრად არსად შეუძლია ფეხი მოიდგას, როგორც ქუთაისში. მიზეზი ამისი ცხადია: ქუთაისში უფრო მეტი ქართველობა ცხოვრობს და იმერლები ბუნებითად ძრიელ მოყვარულნი არიან გრძნობათა ამაღელვებელს და გემოვნების დამაკმაყოფილებელს სანახავებს. მაგრამ ეს ხალხის თვისება არ კმარა, რომ თეატრმა მკვიდრად ფეხი მოიდგას. აქ საჭიროა თვით თეატრის საქმის დაყენება რიგიანად. ხშირად პირველი ნაბიჯისაგან არ არის დამოკიდებულია ბედი და იღბალი საქმისა. ჩვენი ნორჩი თეატრის პირველი ნაბიჯი მეტად კარგია. ეს არ კმარა. თეატრის დღე-გრძელობისათვის საჭიროა სინდისიანი შრომა, მოთამაშეთა ერთ-სულობა და სიფრთხილით და დაკვირვებით საქმიანობა.

ეხლა მოკლეთ ჩამოვთვალოთ ვინ შეადგენს უმთავრესს პირებს ჩვენის თეატრისას:

თეატრის გამგებელი და რეჟისორი არის კ. მესხი და ეგრეთვე უმთავრესი დრამატიული როლების ალმასრულებელი. როგორც ნიჭიერს აქტიორს, დიდი ხანია ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს ბ. მესხს. როგორც გამგებელი თეატრისა ამაზე არაფერი შეგვიძლია თქმა; დროება დაგვანახვებს მის ვარგისობას და უვარგისობას ამ საქმეში.

მეორე საყურადღებო მოთამაშეა ეფემია მესხისა. ეს მოთამაშე ქალი ბუნებას დაუსაჩუქრებია ყოველივე იმ ღირსებით, რომელნიც საჭირონი არიან აქტრისისათვის. სასიამოვნო გარეგნობა, მშვენიერი ხმა, წმინდა ქართული ენით საუბარი, როლების შეგნება და მისი მოხდენილი თამაში დიდს იმედს გვაძლევს, რომ ე. მესხისა დაიჭერს ჩვენს სცენაზე არა უკანასკნელს ალაგს.

მეორე მოთამაშე ქალია, ბ. მაქელაძის ასული. ეს ქალი მიუცილებლად ივარგებს სცენაზე. მხოლოდ სითამამე აკლია და როლების შეგნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ს. ბაგლეშვილი წესიერად ასრულებს დრამატიულ როლებს. საზოგადოებას მოსწონს. ჩვენ მხოლოდ ურჩევთ თვალის სმარებაში გადაჭარბება არ იხმაროს.

ბ. ს. გატირელი კომიკურ როლებში ივარგებს; ურჩევთ ქართული ენის შესწავლას და სიტყვების გარკვევით წარმოსთქმას.

ბ. ო. მანდელი ეს მოთამაშე კარგია, მხოლოდ როლების სწავლაში ცულლუტია. ხშირად სცენაზე უადგილო ალაგს სჩერდება და არ იცის რა სთქვას. როლების გაზეპირება ეჭირება.

აი ეს გახლავთ ჯერ-ჯერობით პირველი მოთამაშენი ჩვენის დასისა.

მეორე წარმოდგენა ამ დასს ჰქონდა სექტემბრის 15-ს. ითამაშეს ორ-მოქმედებიანი დრამა „შეშლილი“ ფრანგული ნათარგმნი და ससგარელის ვოდევილი „ბაიყუში“. თეატრის დარბაზი ხალხით სავსე იყო. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ეველა მოთამაშეთა საზოგადოებამ თანა-გრძნობა გამოუცხადა. წარმოდგენა დასრულდა ლეკურით. ზურნა, დუდუკი და სალამური ძრიელ ამშვენებდა წარმოდგენას სამხედრო მუსიკის მაგიერად.

სხვა ახალ ამბებში აღვნიშნოთ კრებების დაწყება ქართული გრამატიკის ტერმინების შესახებ. მიზანი კრებისა არის, რომ ყველა ქართული ენის მასწავლებლები შეთანხმდენ ერთი ტერმინების ხმარებით სასწავლებლებში. სხვა-და-სხვა ტერმინების ხმარება ძრიელ აპრკოლებდა ქართული ენის წარმატებას. კრებებზე საკმაოდ ესწრება ხალხი. მანდილოსნებიც დაიარებიან. საქმეც რიგიანად მიდის. თავის დროზე „თეატრში“ დაიბეჭდება რომელ ტერმინებს მიიღებს კრება სასწავლებლებში სახმარებლად.

ამ თვის 14-ს ბულვარში იყო გამართული ალეგრო ჭუთაისის საქალებო გიმნაზიის სასარგებლოდ და ამ თვის 15-ს სამეფო სახლში—სატანცაო საღამოლარიბთ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ეს ხომ ყველა სასიამოვნო ამბებია; ჭუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ წლეულს ჭუთაისში ხუთასამდი ყმაწვილი ჩამოიყვანეს სასწავლებლებში მისაღებათ.

ქუთათური მემატიანე.

ფელეტონი

საბრალო ვარდისახარი

(ნამდვილი ამბავი ჩვენის ცხოვრებიდამ).

ბეტის-მეტი სიამაყე, გაზვიადებული ღირსებებით შემკობა თავის თავისა არ არის მოსაწონი და ბევრსაც აზიანებს მასვე, ვისაც ეს სენი გასჯდომია, მაგრამ რაც გინდა კაცი თავ-მდაბალი იყოს, მაინც ეს სენი ტოტად, თუ ბევრად თანა სდევს ყველას. ბევრს ამყოფს კაცი ჯგუის ძლიერებით, მაგრამ, ჭამლეტისა არ იყოს, ბევრი ისეთი, რამ კიდევ არის ბუნებაში, რაც ბრძენთ არც კი დაჭსიზმრებიათ. არა ჩვეულებრივი და ბუნების კანონთა გარეშე ის არის ჩვენს მოკლე მოთხრობაში, რომ ეველა ქალი იბადება, იზრდება და მერე თხოვდება; ჩვენი ვარდისახარი კი გაიზარდა უდედოთ, მაგრამ დედობა და ლალობა გაუწია ერთმა ბატიოსანმა კაცმა, რომელმაც იმდენი შრომა და ღვაწლი დასდო მას, რომ მალე თითონაც თან გადაჭყვა. დარჩა საბრალო თოთხმეტის წლის ქვრივი. არც ერთს მშვენიერს და მზითვიანს ქალს იმდენი მთხოვნელი არა ჭყოლია, რამდენიც ვარდისახარს ჭყოლია. მერე სულ ეკრობა მოკლილი, განთლებული, ტალიკ-ტალიკი ბიჭები! ერთის სიტყვით, შეჯახება, მაჯანკლების სრბოლა აქეთ-იქით და ერთმანეთის შეხეთქება ბევრი იყო. ასე გაშინჯეთ, ხმა გავრცელდა, რომ სპასეთის შაჰის, ორს მაშრიყელს და სამს მალრიბელს ხემწიფის შვილებსაც კი გამოეგზავნა თავიანთი ვეზირები და ვარდისახარის ხელი ეთხოვნათ, როგორც ამბობენ ჩვენში, ნახევრად გარეულებული. კინაღამ მოგვტეტეს ვარდისახარი, რომ ლუარსაბ თამაქარიძე არ ჩარეულიყო ამ საქმეში. იმას ეფრინებინა იქიდამ თავისი სუტ-ენეინა, რომელისთვისაც და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებარებინა; ეი დედა მტრისასაო! განა მე ისრე დავბერებულვარ, რომ ჩგენიდამ ქალი სხვამ წაიყვანოსო? დატრიალდი, სუტ-ენეინავ, თორემ, მაგა არ წამიწყდება, სამი კვირა სალოცავში სულს ამოგართმევო“. და სხ. სხვათა მთხოვნელთაშორის გაიმარჯვა ერთმა იმ გვარის უმაწვილმა, რომლის წინაპარმაც, როგორც მოგვითხრობს ერთი ქართული ანდაზა, რაღაც დიდი ზნეობის წინაღმდეგი დანაშაულობა ჩადინა და იმის მაგიერ საბრალო ურიას გადასდეგინეს. შეიყარა ყურთმაჯები, გაიწკეპა ულვაშები, აუარ-ჩამოუარა ასლ-გაზდა ქვრივი გარდისასარის თვალებს და შესძახა: «ქვრივი მაყვარს ქვრივი მე, ქვრივის სულის ჭირიმე». საქმე გაიჩალხა, მაგრამ უბედურება ეს იყო, რომ გარდისასარის პატრონები ექვსასს თუმანს ურიდს თხოულობდა და ჩვენს კნიაზს კი თავზედ მომეტებულად ჯიბეში უფრო თაგვები უთამაშებდენ. ეჰ, ნათქამია: «ბედი მომეც და სანასვეზედ გადამაგდეო». ერთს სალამოს, რადესაც ჩვენი კნიაზი იმედ მოსდილი და ბოლმა მოწოლილი ზურგწამსდარი ტანსივით ბორგავდა და სატოდავად კოტრიალებდა, ვიღაც კარები მოკრთალებით შეაჭრიალა და შესძახა: „კნიაზ, შინ არა ბრძანდებით?“—ოჰ, გეო, შენა?—შინა ვარ, შინა? მობრძანდი, ჩემო მსსნელო!—უპასუხა იქიდამ, გადმოსტა, მუსლებზედ დაეშვა იმის წინ და შეებღალვა: „გეო ჯან, მიშველე რაღა, თორემ ეს არის ვიღუპები!“—ვა, ვა, ეს რასა ვსედავ?... კნიაზჯან, ეგრე თავის მოლაჩრება გაგონილა? მობრძანდი, დაბრძანდი! ემისთვის არა სტირი, ვაი ამისი გამჩენი დიაცა, ეჰ!... დარდიმანდულად გადიწია გეომ კაბის კალთა, ასალუსის ჯიბიდამ ამოიღო შეკრული კონები ასიგნაციისა და სტოლზედ დაასეოქა. კნიაზ აბრაკუნაძე მთლად თვალებად გარდიქცა. მერე გაქანდა, მოეხვია, გეოს საბრალოსთან, გაუტრიალდა და რაღაც სალაპარაკო ტეკვა ჩამოუარა. გეო, მოუბრუნდა მერე იმისკენ აუქშია აბრაკუნაძე, იცი, ეს მე რომ ვითამაშე, რა თამაშობაა? ეს ისპანიური კაჩუჩაა. ევროპაში რომ ვიყავი, ამის მეტი ვერა ვისწავლერა.

— ჰო, კარგი, კნიაზო, ტუტუტობა ნუ დაიწყე, მოდი რა გითხრა. ეი ეს ფული. მე შენი არაფერი მანდა, მხოლოდ გამოტეხდე, რომ გეო თართ-ზურგიელოვი ჩემი მეუკარე, ე. ი. შეფერი, რაღა, იყო-თქო...

— ბატონი ბრძანდებით, ბატონი ბრძანდებით! შეფერათ კი არა, თურდა სეხესპრად გამოგაცხადებ, სიფინტივით მიაყარა კნიაზ აუქშიე აბრაკუნიძემ და ამით განშორდენ ერთმანეთს.

მეორე დღეს ქორწილი იყო. ნეფემ მეტის აღტაცებით-აღარ იცოდა რა ექმნა. პატარძალი ძრიელ დიდებულები იყო და იმის მოღრუბულ სახეზედ ადვილად ამოიკითხვდით:

„რა ვქნა, რა უყო თავსაო,
მერე ამ ტუტუც ქმარსაო?
არ შეეძლება შენახვა,
არც დამანებებს თავსაო!.“

ლვინით დაბუყებული მაყრები, თუმცა ბიჭში შესხმას ეუბნებოდენ საბრალო გარდისასარს და ბედნიერებას ულოცავდენ, მაგრამ გულში კი ჭკრძნობდენ რა ქარაფშუტას სელშიაც ჩავარდა და თითქმის შეუცვლელად ამას მღერიდენ:

„რა ქნას, რომ არა ტიროდეს შავი და ბნელი ქალია,
ბირ და-ბირ ჩამოუდგება თავ-ცარიელი ქმარია...“ და სხ.

II

გარდისასარი, უველასთვის სატრფო და სანატრელი, სავგირგელი თეისების ქალი იყო. ის თავის თავად არც ლამაზი იყო, არც გონჯი, არც ჭკვიანი არც სულელი. არც ფუალი ჭაბანდა, არც მზითეკი; მაგრამ უველაფერი ქმარზედ იყო დამოკიდებული. თუ რიგიანი ქმარი შეჭსვდებოდა გარდისასარი ჭკვიანიც გახდებოდა და მდიდარიც,—თავის ქმარსაც გაბედნიერებდა; თუ არა და ძრიელ ადვილად მოაძგებდა უველას თავს და ადვილად მოჭვლავდა ის სენი, რომლისკენაც ბუნებითვე მიდრეკილება ჭქონდა და კაი თავის დამჭერი ეჭირებოდა. მე ჭორიკანობაზედ მოგახსენებთ. მართლაც საბრალო გარდისასარი დღითი დღე ფუჭდებოდა კნიაზ აუქშიე აბრაკუნიძის სელში და საზიზღარი ხდებოდა. თიოონაც მიჭეო სელი ტუდ-უბრალო ჭორიკანობას და ბოლოს დროს იქამდე მიაღწია, რომ ერთი უბრალო ავლაბრელი სამჭრაქა დედა-კაციც აღარ აუბობებდა. თან-და-თან შემოაწვა ეს სენი, გულს ეცა და თან გაიტანა უბედური, რადესაც აუქშიე აბრაკუნიძე კახეთში ქეიფობაში იყო გართული. შეატყობინეს, ჩამოვიდა და პირდაპირ კარებიდამვე ის დაიღრიალა: ვაიმე დაღუპალსა, ვინლა გადმასდის ჩემს რვა ას თუმანს ვალსა?... წამოდგა იგივე გეო თართ-ზურგიელოვი, წამოდგა კნიაზ ლუარსაბ თოთქარიძე და სცეს ნუგეში ამ სიტყვებით; ნუ შესწუხდები, შეგეწევით... აქ არა ვართ. აი, რაცა წლის წირვაში თავს მოიპარსავ, მაშინ შენი ვალიც გარდახდილი იქნება...“ ესე უბედური შეიქმნა საბრალო გარდისასარი. მაგრამ მკვდარი მაინც უველასთვის საუკარელი ხდება. საბრალომ უკანასკნელს დღეებში, უსეირო ქმრის გადაკიდე, იქამდე შეაძგა უველას თავი, რომ ტატლაში გარდისასარს ეპასოდენ; ესლა კი უველასთვის დაუიწყარი გარდისასარი შეიქმნა. ესეთი გახლავთ ეს ჩვენი დაუნდობელი წუთის სოფელი!

III

კნიაზ აუქშიე აბრაკუნიძე პატარას სანს მოწეული-

ლი გასდგათ, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ თავის მოსაბარსად მეგობრები რვა ასთუმანს შეჭსწირავენ ტოტა მოისედა და ძველებურად ცმუკვა შექმნა. ზედატ, სიდგამც სუტ-ენეინა გაუტეკრა და ეურში ჩასჩურჩულა: ნუ ინაღვლებ, გენაცვალე, ისეთს შექრთავ ჯადუ, რომ ვარდისასარს თხუთმეტს სჯობდეს... ამის შემდეგ ისევ სულ წელში გასწორდა ჩვენი აბრეკუნიძე.

დავით სოსლანი.

რუსული თეატრი

ოპერა. სამშაბათს, 24 ენკენისთვეს თბილისის თეატრში წარმოადგინეს მეორედ «Жизнь за Царя» (გლინკას თხზულება). ამ ოპერამ ბევრად უკეთ ჩაიარა პირველ წარმოდგენაზე.

ანტონიდას როლს ასრულებდა ქ. მარკოვსკაია. ამ ჩინებულმა არტისტკამ თავის ჩინებული თამაშობით „რიგოლეტოში“ (დუქილდას როლი) საზოგადოების ყურადღება უკვე დაიმსახურა. „Жизнь за Царя“-შიაც კარგათ შეასრულა თავისი როლი, რომლითაც გამოიწვია საზოგადოებაში ბევრი ტაშის კვრა. არც ბატ. ლოდი იყო ურიგო საბინინის როლში. ახალი არტისტი ბატ. მარკოვეცკი თამაშობდა სუსანინის როლს. ეს არტისტი თან-და-თან იწრთვნება და სცენას ეჩვევა. დავიდოვის ქალი (ვანია) ცოტა ხმაზე ვერ იყო, ეს მეტადრე მაღალ ნოტებში ეტყობოდა.

თეატრი თითქმის ნახევრად ცარიელი იყო. ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, ის არის რომ პირველი წარმოდგენა ოპერისა «Жизнь за Царя» მოუმზადებლობის გამო ძალიან სუსტათ ჩაიარა.

შინაური ამბები

✦✦ ჩვენი ქართული დრამატიული დასის არტისტები თანდა-თან იკრიბებიან თბილისში. ოქტომბრის ექვსიდამ იწყობა სეზონი. ძველ აქტიორების გარდა წელს მოწვეულნი არიან ახალი პირებიც. ძველ არტისტებ შორის მოწვეულნი არიან ნ. ჯორჯაძე და ვ. მერკულოვისა.

✦✦ ჩვენი დრამატიული არტისტი ბატ. ალექსეევი-მესხიევი ბატ. ფითუაშვილს მიუწვევია თავის დრამატიულ დასში მესამე ხარისხის როლების ამასრულებლათ. რამ აიძულა ბატ. ალექსეევი-მესხიევი დაეტოვებინა ქართული სცენა?

✦✦ გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს უურნალი „ივერია“ (№ VII, ივლისი) შემდეგის შინაარსით: ა. მოძღვარი, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა. ბ. სასალოდ ლექსები. გ. ენეინა ნეკტარინა (ისტორიული მოთხრობა ქართველთ ცხოვრებიდამ) თხზ. ვალ. ჩერნისა. დ. პედაგოგიური მოსაზრებანი «ქართული ქრისტომატია» უმცროს კლასებისათვის შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ე. სასალოდ ლექსები (შეკრებილი ს. ლონლაძისაგან). ვ. ქართული თეული მ. ჯანაშვილისა. ზ. განცხადებანი ს. დამატება: მასალა ისტორიისათვის (დასასრული).

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

ბეჭდვა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ-და-პირი თვის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი ოპერების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, «თეატრი», ჩვენ ლიტერატურასაც თავდს ადგენებს. დრო კამოშვებით «თეატრ»-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საუურადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრ»-ს აღუუქვეს თავიანთი მონაწილეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. ფასი «თეატრი-»სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე სოფლის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარ ს წლით—სამი (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Театръ“.

გაგრძელდება ხელის მოწერა გაზეთ

„თბილისის განცხადებაზე“. ბარიატინსკის ქუჩ. ბელოისსეულ როტინოვის სახლში.

მიიღება ხელის მოწერა 1885 წლისათვის
ქართულ სასულიერო გაზეთს

„მწყემსზედ“

და „მწყემსი“-ს რუსულ თვიურ დამატებაზედ.

ფასი მთელი წლის გაგზავნით —5 მან.
ნახევარი წლის— — — — — —3 მან.

რუსული თვიური დამატებით

ერთი წლისა — — — — — —6 მან.
ნახევარ წლისა — — — — —4 მან.

ცალკე რუსული დამატების

ფასი წლის — — — — — —3 მან.
ნახევარი წლისა — — — — —2 მან.

გაზეთისა დაბარება შეიძლება ამ ადრესით:
Въ Квырили, въ редакцію „Мцкемси“.

ისყიდება.

ქართ. ლექსიკონი სამა ტომბელიანისა 4 მ.—
ვახუშტის ისტორია — — — 3 მ.—
გიორგი ერისთავის თხზულებანი— 2 მ.—
ქართ. ბოტანიკური ლექსიკონი — 2 მ.—
ვისრამიანი — — — — — —1 მ. 50კ.
თორნიკე ერისთავი ბოკომ ავკაცისა 1 მ. —

და სხვა უოველგვარი ქართული წიგნები.

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

ლექსნი

თქმულნი ბესარიონ (ბესიკის) გაბაშვილისგან.
ფასი 30 კაპ.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 29 сентября. Типографія Гр. Чарквіани. სტამ. გრ. ჩარკვიანისა.